



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მაკა ჯულაყიძე

ერის თვითგამორკვევის უფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის
თანაფარდობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის
ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ჯიქია

სამართლის დოქტორი, პროფესორი

თბილისი, 0141, საქართველო

2025 წელი

სამეცნერო ხელმძღვანელი:

მარიამ ჯიქია, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

მარინე კვაჭაძე, სამართლის დოქტორი

ნათია კინწურაშვილი, სამართლის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2025 წლის 20 თებერვალს 16:00 საათზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: საქართველო, 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305- ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: **ალექსანდრე გიორგიძე**

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და საკვლევ პრობლემის ჩამოყალიბება

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ხასიათდება დინამიური პროცესებით, რაც პირდაპირ კავშირშია მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებთან. კლასიკური საერთაშორისო სამართალი კი განსხვავებულად განმარტავს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საკვლევი თემის შერჩვა განაპირობა მისმა აქტუალობამ და პრობლემურობამ. საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში გამყარებული ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპთაგან ერთ-ერთია, თანამედროვე რეალობაში წინააღმდეგობაში მოდის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპთან. თემის აქტუალობის განმაპირობებელი ფაქტორი ისიც არის, რომ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში არ არის ერთგვაროვანი და მკაფიო განმარტება იმ სუბიექტებზე, რომელთაც გააჩნიათ ერის თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. შესაბამისად, არსებული ცნებებით და კონცეპტებით, მარტივია საკითხის პოლიტიკური მანიპულირება.

ნაშრომში თანმიმდევრულად არის განხილული ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც კვლევის მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. ნაშრომში განხილულია თვითგამორკვევის უფლება და მისი განვითარების ეტაპები, მათ შორის ისეთი კონცეპტები, როგორცაა „ხალხები“, „უმცირესობები“ და „მკვიდრი ხალხები“. გაანალიზებულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი საერთაშორისო სამართალში. დეტალურად არის განხილული ტერიტორიული მთლიანობის ხელმყოფი საფრთხეები.

ნაშრომის თეორიული ნაწილის პრაქტიკული კომპონენტით გასაძლიერებლად და კვლევის მიზნების რელევანტურად მისაღწევად, განხილულია კოსოვოს პრეცედენტი და მისი შედეგები. ასევე განხილულია აფხაზეთის კონფლიქტი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

კვლევის მიზნები და კვლევის ამოცანები

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია დადგინდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ორი პრინციპის - ერის თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის - თანაფარდობის საკითხი, კერძოდ აღნიშნულ პრინციპთაგან რომელს ენიჭება უპირატესობა პრაქტიკაში გამოყენების დროს; განისაზღვროს ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ზემოაღნიშნული პრინციპებისთვის პრიმატის მინიჭებას.

მეცნიერულ და თეორიულ დონეზე შედარდეს განხორციელებული და განუხორციელებელი გარე თვითგამორკვევა - სეცესია კოსოვოსა და აფხაზეთის განხილვის ქრილში, რომლის საფუძველზეც გაკეთდება მეცნიერული დასკვნა კოსოვოსა და აფხაზეთის თვითგამორკვევისა და სეცესიის უფლების სამართლიანობაზე. მიზანშეწონილია მეცნიერულად აიხსნას და გაანალიზდეს თვითგამორკვევისა და შემდგომ სეცესიის უფლების თანამედროვე აღქმა კლასიკურისგან განსხვავებით და დადგინდეს, აქვს თუ არა აფხაზეთს თვითგამორკვევისა და სეცესიის უფლება თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. დადგინდეს თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენების გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია ლეგიტიმურია;
2. განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც თვითგამორკვევასა და სეცესიას ანიჭებს სამართლებრივ უპირატესობას ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან მიმართებით;
3. შესწავლილ იქნას ის სამართლებრივი და პოლიტიკური დისკურსები, რომელმაც განაპირობა კოსოვოს სეცესია;
4. შესწავლილ იქნას აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიულ-სამართლებრივი წინაპირობები;
5. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გაანალიზებულ იქნას კოსოვოს პრეცედენტის განზოგადოების შესაძლებლობა აფხაზეთთან მიმართებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის თემაზე გამოცემულია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და გამართულია კონფერენციები, რაც საკვლევი თემის აქტუალობასაც ცხადყოფს, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულენოვან ლიტერატურაში ძირითადი აქცენტია კოსმოსს პრეცედენტსა და აფხაზეთის კონფლიქტზე, ხოლო ერის თვითგამორკვევის პრინციპის თანამედროვე ინტერპრეტაციაზე ინფორმაცია მწირია.

ნაშრომის შესრულების დროს შესწავლილი იქნა ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, კვლევები), აქედან კვლევისთვის გამოსადეგი აღმოჩნდა 115 სამეცნიერო ნაშრომი (23 ქართული და 92 უცხოური), 101 საერთაშორისო ხელშეკრულება და საკანონმდებლო აქტი (საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული შეთანხმებები, რეზოლიუციები) და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული 11 ანგარიში და მოხსენება.

გამოყენებული ლიტერატურიდან გამოვყოფდი შემდეგს:

1. **ალექსიძე ლ., აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადაწყვეტი როლის შესახებ, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2008.¹**

ავტორი ნაშრომში განიხილავს 2008 წლის 29 მაისს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელშიც გაეროს პრაქტიკაში პირველად დაფიქსირდა აფხაზეთში ქართველების ეთნიკური წმენდის ფაქტი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაერო იმოწმებს ეუთოს დასკვნებს.

2. **ლევან ალექსიძე, საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკური ხანიდან დღემდე), 2012.²**

ნაშრომი მოიცავს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ სტატიებს, რომლებიც ეხება საქართველოს ბრძოლას აგრესიულ-სეპარატიზმისა და სამხედრო ინტერვენციის

¹ ალექსიძე ლ., აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადაწყვეტი როლის შესახებ, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2008

² ლევან ალექსიძე, საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკური ხანიდან დღემდე), 2012

წინააღმდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს, აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ და სხვა.

3. ბურკაძე ხ., ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში, 2011.³

ნაშრომში ავტორი დეტალურად განიხილავს ძალის გამოყენების ცნებას და მის რეგულირებას სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს; ნაშრომში ასევე ვრცელი ადგილი ეთმობა თავდაცვის უფლებას და ჰუმანიტარულ ინტერვენციას.

4. თოფურაძე ნ., საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2015.⁴

სადოქტორო ნაშრომი ეხება საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საკითხს. აღნიშნულის ვრცლად და არგუმენტირებულად წარმოსაჩენად ავტორი ნაშრომის სხვადასხვა თავში თანმიმდევრულად განიხილავს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნებას და მისთვის აუცილებელ მახასიათებლებს, საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარების კონსტიტუციურ და დეკლარაციულ თეორიებს, ერის თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციების ურთიერთმიმართებას, ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესსა და მექანიზმს.

³ ბურკაძე ხ., ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2011

⁴ თოფურაძე ნ., საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2015

5. მალანჩუკი პ. აკვარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომცემლობა დიოგენე, თბილისი, 2005.⁵

ნაშრომში განხილულია თვითგამორკვევის უფლების ცნება, მისი განვითარების ისტორიული ექსკურსი, სუბიექტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ პრინციპთან დაკავშირებით არსებული განსხვავებული სტანდარტები.

6. სმიტი რ.კ.მ. ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მ. ნინიძის თარგმანი, გ. ჯოხაძის რედაქტორობით, თბილისი, 2005.⁶

ნაშრომში განხილულია თვითგამორკვევის უფლების წარმოშობა, არაკოლონიური თვითგამორკვევის მაგალითები და ეროვნულ უმცირესობათა და მკვიდრ ხალხთა ანატომია.

7. ხუბუა გ., ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი, 2000.⁷

ნაშრომში განხილულია ფედერალიზმის პრინციპები, მისი მნიშვნელობა და თავისებურებები. ასევე მოცემულია სხვადასხვა სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის თავისებურებები.

8. Borgen Ch. J., Kosovos Declaration of Independence, Self-Determination, Secession, and Recognition Volume: 12, Issue 2, 2008.⁸

ნაშრომი ეხება კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლებრივ კონცეპტებს. კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემდეგ აშშ-მ და ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ ოფიციალურად აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა. ნაშრომში განხილულია უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუცია, რომელიც ადგენს კოსოვოს საერთაშორისო ზედამხედველობას 1999 წლის ნატოს ინტერვენციის შემდეგ და მისი შედეგები. ავტორი ასევე მსჯელობს იმ ფაქტზე,

⁵ მალანჩუკი, პ. - აკვარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თ. თომაშვილის, ნ. მანჩხაშვილის, ი. მელიქიშვილის, ს. სარჯველაძის, ე. სირამის, რ. ტუშურის, თ. ხიდაშელის თარგმანი, მ. კვაჭაძის სამეცნიერო რედაქტორობით, ლ. ქადაგიძის, ა. ჭაბაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2005

⁶ სმიტი რონა კ.მ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მ. ნინიძის თარგმანი, გ. ჯოხაძის რედაქტორობით, თბილისი, სეზანი, 2005

⁷ ხუბუა გ., ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი, 2000

⁸ Borgen Ch. J., Kosovos Declaration of Independence, Self-Determination, Secession, and Recognition, Volume: 12, Issue 2, 2008

კოსოვოს პრეცედენტი საერთაშორისო სამართალში უნიკალურ შემთხვევაა, თუ სხვა სეპარატისტული მოძრაობების პრეცედენტი.

9. Cassese A. Self-Determination of Peoples: A Legal Reappraisal, Cambridge University Press, 1995.⁹

ნაშრომში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, თუ ვინ შეიძლება იყოს თვითგამორკვევის უფლების სუბიექტი საერთაშორისო სამართლის თანახმად. დასმულია კითხვა თუ როდის იქცევა ეს პოლიტიკური იდეალი საერთაშორისო სამართლის სტანდარტად. ამასთან ერთად განხილულია, თუ რამდენად აყალიბებს თვითგამორკვევა საერთაშორისო ურთიერთობებს და აფასებს მისი გავლენის სფეროებს.

10. Cornell E. S., Autonomy and Conflict, Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia, Uppsala 2002.¹⁰

ნაშრომში საუბარია უმცირესობებისთვის ავტონომიების მინიჭებაზე და შესაძლო საფრთხეებზე, კერძოდ, ავტორის მოსაზრებით, არსებობს საფუძველი რომ უმცირესობის ავტონომიის მინიჭებამ გარკვეულ პირობებში შესაძლოა გაზარდოს და არა შეამციროს კონფლიქტის ალბათობა. გარკვეულ პოლიტიკურ პირობებში ავტონომია ამლიერებს უმცირესობის ცალკეულ იდენტობას; ამით ის ზრდის სახელმწიფოს წინააღმდეგ კოლექტიური მოქმედების სტიმულს. ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს, იყო თუ არა ტერიტორიული ავტონომიის ხელშემწყობი ფაქტორი ძალადობრივი ეთნიკური კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში 1980-იანი წლების ბოლოდან. იგი წარმოადგენს თეორიულ არგუმენტს იმის ასახსნელად, თუ ავტონომიური გადაწყვეტილებების რომელი მახასიათებლები ზრდის კონფლიქტის ალბათობას.

11. Crawford J., Brownlie's Principles of International Law, OUP, 2012.¹¹

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მათი მნიშვნელობა და მათი პრაქტიკაში გამოყენება. აღნიშნულ პრინციპებს

⁹ Cassese A., Self-Determination of Peoples, A Legal Reappraisal, Cambridge University Press, 1995

¹⁰ Cornell E. S., Autonomy and Conflict, Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia, Uppsala 2002 <https://isdpeu> [30.11.2024]

¹¹ Crawford J., Brownlie's Principles of International Law, OUP, 2012

შორის ასევე ვრცლად არის მოცემული ინფორმაცია ერის თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე.

12. Hasani E., Self-Determination, Territorial Integrity and International Stability: Case of Yugoslavia, Vienna, 2002.¹²

ნაშრომი ეხება ერის თვითგამორკვევას, ტერიტორიულ მთლიანობასა და საერთაშორისო სტაბილურობას ყოფილი იუგოსლავიის კონტექსტში. თვითგამორკვევა განიხილება ორ სხვა საკითხთან დაკავშირებით: ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისო სტაბილურობა. სინამდვილეში, ეს ორი სეგმენტი იყო და რჩება თვითგამორკვევის ყველა განხილვისთვის. ავტორი ასევე განიხილავს იუგოსლავიის თვითგამორკვევის შემთხვევას თავისი რამდენიმე უნიკალური მახასიათებლით. ეს ეხება მისი შემადგენელი ერების ნაციონალიზმის ბუნებას, განსაკუთრებით სერბებს. ამ ერების მიერ თვითგამორკვევის ინტერპრეტაცია უნიკალური იყო მთელ კომუნისტურ სამყაროსთან შედარებით, რომელიც დაინგრა ცივი ომის შემდეგ. კერძოდ, ისინი აღიქვამდნენ თვითგამორკვევას წმინდა ეთნიკური თვალსაზრისით, რითაც გამორიცხავდნენ სხვა ერებს იმავე უფლების ბენეფიციარებისგან. ეს აღქმა არ იყო პრაქტიკული შედეგების გარეშე. წმინდა ეთნიკური თვითგამორკვევის რეალიზაციამ გამოიწვია არასერბების ეთნიკური წმინდა და სხვა კულტურების განადგურება ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე.

13. Jikia M. Right to Self-Determination vs. Teritorial Integrity, Tbilisi, 2011.¹³

ნაშრომი ეხება ერის თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების თანაფარდობას. ავტორი ნაშრომის პირველ ნაწილში მიმოიხილავს ერის თვითგამორკვევის კონცეპტს, მისი ინტერპრეტაციის საკითხსა და მის ცალკეულ სუბიექტებს, ნაშრომის მეორე ნაწილში კი მოცემულია ერის თვითგამორკვევის კონკრეტული მაგალითები.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

კვლევის სრულყოფილად განსახორციელებლად ძირითადად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, მათ შორის ისტორიული კვლევის მეთოდი, სისტემური და ლოგიკური

¹² Hasani E., Self-Determination, Territorial Integrity and International Stability: Case of Yugoslavia, Vienna, 2002, 47 www.bundesheer.at [30.11.2024]

¹³ Jikia M., Right to Self-Determination vs. Teritorial Integrity, Tbilisi Publishing House Universal 2011

ანალიზის მეთოდი, შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი და ლეგიმეტრიული მეთოდი.

ისტორიული კვლევის მეთოდის საშუალებით, მოხდა საერთაშორისო სამართალში ზემოაღნიშნული პრინციპების განვითარების დინამიკის შესწავლა, ასევე კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების განმაპირობებელი ისტორიული თუ პოლიტიკური წინაპირობების გაანალიზება. ისტორიული კვლევის მეთოდის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა სწორად გაანალიზდეს წარსული გამოცდილება და მოხდეს მისი თანამედროვე რეალობასთან შედარება.

სისტემური და ლოგიკური ანალიზის მეთოდი გამოყენებულია საერთაშორისო სამართლის ზემოაღნიშნული ორი პრინციპის განმარტებისა და თანაფარდობის გასაანალიზებლად, რაც გულისხმობს ორივე მათგანის შესწავლას კონკრეტულ პერიოდსა და გარემოებებში, მათი ინტერპრეტაციის დინამიური ცვლილებებისა და მათთან დაკავშირებული თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი გამოყენებულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ორი პრინციპის - ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და ერის თვითგამორკვევის პრინციპების კლასიკური და თანამედროვე ინტერპრეტაციების შედარებისთვის, აღნიშნული კონცეპტების დინამიური ცვლილებების გასაანალიზებლად. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის საშუალებით განხორციელდა კოსოვოსა და აფხაზეთის ქეისების შედარებითი ანალიზი, კერძოდ შესწავლილ იქნა და შედარდა აღნიშნული კონფლიქტების წინაპირობები, პოლიტიკური და სამართლებრივი დისკურსები, კონფლიქტების შედეგები და ტრანზაციის შემდგომი განვითარება და ის გარემოებები, რომლებმაც განაპირობა მათი დღევანდელი სტატუსი - კოსოვოს შემთხვევაში სეცესია და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება, ხოლო აფხაზეთის შემთხვევაში გაყინული კონფლიქტით კვალიფიცირება და რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია.

ლეგიმეტრიულ ანუ სამართალმზომელობის მეთოდს ემყარება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ორი მნიშვნელოვანი პრინციპი - თვითგამორკვევის უფლება და

სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების დაცვის მიზნით აუცილებელია სამართალმზომელობის პრინციპის დაცვა. თვითგამორკვევისა და სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების თანაფარდობას საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს სხვადასხვა კრიტერიუმით და საბოლოო ჯამში სამართალმზომელობის პრინციპზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას, აღნიშნული ორი პრინციპიდან რომელ მათგანს მიენიჭება უპირატესი ძალა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

კლასიკურ საერთაშორისო სამართალში საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები ერთ დონეზე იყო განთავსებული. საზოგადოების განვითარების ეტაპებთან ერთად იცვლება საერთაშორისო სამართალის კლასიკური მიდგომები.

თვითგამორკვევის უფლებით რეალურად მხოლოდ კოლონიური რეჟიმის ქვეშ მცხოვრები ხალხები სარგებლობდნენ. საერთაშორისო სამართალში დღემდე საკამათოა საკითხი, თუ ვის აქვს თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით სახელმწიფოდან გამოყოფის უფლება. საკითხის სიღრმისეულმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ არ არის კოდიფიცირებული თვითგამორკვევის განხორციელების ერთგვაროვანი და მკაფიო განმარტება. სეპარატისტული სუბიექტები სარგებლობენ საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე თვითგამორკვევის პრინციპის ბუნდოვანებით, რაც საჭიროებს არაორაზროვანი სტანდარტის დამკვიდრებას.

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურის, ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების დინამიკის, არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკის გაანალიზების შედეგად, მოხდა მეცნიერულად დასაბუთებული პასუხების შემოთავაზება, კერძოდ გარემოებათა იმ ერთობლიობის განსაზღვრა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც თვითგამორკვევასა და სეცესიას ენიჭება უპირატესობა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან მიმართებით.

კოსოვოს პრეცედენტის აფხაზეთთან მიმართებით განზოგადების შესაძლებლობის შესწავლის პროცესში გამოვლინდა ძირეული განსხვავებები, როგორც ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ასევე კონფლიქტის ანატომიის და მისი შედეგების ჭრილში.

აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას განვითარებული მოვლენების შესწავლის შედეგად მოხდა გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის შესწავლა და შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით აღნიშნული კონვენციის მეორე მუხლში ჩამოთვლილი ქმედებების შედარება აფხაზეთის ომში ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან აღნიშნული კონფლიქტი დაკვალიფიცირდა როგორც ქართველების ეთნიკური წმენდა და დღემდე არ მომხდარა აფხაზეთში ქართველების გენოციდის აღიარება, არც ქვეყნის შიგნით, სახელმწიფოებრივ დონეზე და არც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. თუმცა ზემოაღნიშულ კონვენციაზე დარყდნობით გაკეთდა ახალი სამეცნიერო დასკვნები, სადაც დასაბუთებულია ეთნიკური ქართველების გენოციდი აფხაზეთში.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. თვითგამორკვევის პრინციპის და მასთან დაკავშირებული კონცეპტების განვითარება საერთაშორისო სამართალში

თვითგამორკვევის უფლებას საფუძვლად უდევს 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია. მოგვიანებით, 1919 წელს, ერთა ლიგამ¹⁴ განიხილა თვითგამორკვევის ცნება, მაგრამ ეს არ იქნა ნახსენები პაქტში, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ერთა ლიგა.¹⁵

თვითგამორკვევის უფლება, როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპი, პირველად ჩამოყალიბდა 1945 წლის გაეროს წესდების 1(2) და 55-ე მუხლებში. სადაც აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიზნად ისახავს: „განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხების თანაბარუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე.“¹⁶

თვითგამორკვევის უფლებით თავიდან იმპერიალისტური „რეჟიმის ქვეშ მცხოვრები ხალხები“¹⁷ სარგებლობდნენ. კოლონალიზმის დასრულების პროცესში განსაკუთრებული როლი გაერომ შეასრულა, მისი გენერალური ასამბლეის 1960 წლის 1514 (XV) დეკლარაციამ კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ¹⁸ სადაც, აღნიშნულია: „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით მათ თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური სტატუსი და თავისუფლად განახორციელონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.“¹⁹

¹⁴ President Woodrow Wilson's Fourteen Points, 1918, www.avalon.law.yale.edu [25.11.2024]

¹⁵ სმიტი რ.კ.მ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მ. ნინიძის თარგმანი, გ. ჯოხაძის რედაქტორობით, თბილისი, 2005, გამომცემლობა სეზანი, 378

¹⁶ Charter of United Nations (24/10/1945), Article 1 (2) www.un.org [25.11.2024]

¹⁷ სმიტი რ.კ.მ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მ. ნინიძის თარგმანი, გ. ჯოხაძის რედაქტორობით, თბილისი, 2005, გამომცემლობა სეზანი, 377

¹⁸ ალექსიძე ლ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2005, 283 <http://www.nplg.gov.ge> [25.11.2024]

¹⁹ Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples, Resolution 1514 (XV), paragraph 2, <http://www.un.org> [25.11.2024]

მოგვიანებით ანალოგიური ტექსტი ჩაიწერა გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტსა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველ მუხლებში, ასევე 1970 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის „სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ“, დეკლარაციაში²⁰, ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტში²¹, 1984 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში²², 1993 წლის ვენის ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმაში.²³

მოსამართლე უილდჰაბერმა 1966 წელს საქმეზე - „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“ - თქვა, რომ თვითგამორკვევის უფლება, განსაკუთრებით სეცესიის უფლება, უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც კონკრეტული უფლებების დარღვევისთვის გამოსასწორებელი საშუალება. ხალხს შეუძლია გამოიყენოს თვითგამორკვევა, თუ მათი უფლებები გამუდმებით მძიმედ ირღვევა ან თუ მათ საერთოდ არ ჰყავთ წარმომადგენლობა, ან მასობრივად არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი, დისკრიმინაციული და არადემოკრატიული თვალსაზრისით.²⁴

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის წარმომადგენელმა 1984 წელს აღნიშნა, რომ თვითგამორკვევის უფლება ერთ-ერთი ყველაზე უხერხული საკითხია, რადგან მისმა არასწორად გამოყენებამ შესაძლოა საფრთხეში ჩააგდოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება, იქედან გამომდინარე, რომ სახელმწიფოებს გაუჩინოს განცდა, რომ მათი ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. კომიტეტის გარკვეულმა წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ თვითგამორკვევის კონცეპტი არ იყო ლიმიტირებული მხოლოდ

²⁰ Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with the Charter of the United Nations, (E), (24/10/1070) www.un.org [25.11.2024]

²¹ Conference on Security and Co-operation in Europe Final Act, Article 8, Helsinki, 1975 <https://www.osce.org/> [25.11.2024]

²² CCPR General Comment No. 12, The Right of Self-Determination of Peoples, article 1, 1984 www.uio.no [25.11.2024]

²³ Vienna Declaration and Program of Action, World Conference on Human Rights, 1993

²⁴ Loizidou V. Turkey (Merits), European Court of Human Rights, 18 December, 1996 (1997) Human Rights Law Journal, 50 at 59, იხ. ციტირება Knop K., Diversity and Self-Determination in International Law, Cambridge University Press, 2008, 73-74

კოლონიური კონტექსტისათვის, მაგრამ კონსენსუსის ნაკლებობამ შეუძლებელი გახადა ამ უფლების ფართოდ გავრცელება.²⁵

პროფესორი კრისტოფერ ბორგენი წერს, რომ თვითგამორკვევის სამართლებრივი კონცეფცია თანხმდება ორ მკვეთრად განსხვავებულ მხარეზე. ერთ შემთხვევაში წესი ითვალისწინებს „შიდა თვითგამორკვევის“ უფლებას, რაც, უმცირესობების უფლებების დაცვას გულისხმობს ქვეყნის შიგნით. იმდენად რამდენადაც, სახელმწიფო უზრუნველყოფს უმცირესობათა ჯგუფს, რომელსაც შეეძლება მშობლიურ ენაზე საუბარი, საკუთარი კულტურული ღირებულებების მნიშვნელოვანწილად გამოყენება და პოლიტიკურ საქმიანობაში ეფექტურად ჩართვა. ასეთ შემთხვევაში უმცირესობებს აქვთ შიდა თვითგამორკვევა. სეცესია, ანუ „გარე თვითგამორკვევა“, ზოგადად დაწუნებულია. გარე თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა გამოიყენება მხოლოდ უკიდურესად მნიშვნელოვან საქმეებში და მაშინაც განსაკუთრებულად უნდა იყოს განსაზღვრული გარემოებები.²⁶

არსებობენ სეცესიის მხარდამჭერი მეცნიერები. მაგალითად პოლ ტრინორი წერს, რომ სეცესია არის ახალი სახელმწიფოს ფორმირების ერთადერთი რეალური მეთოდი და სეცესიის აკრძალვა ახალ სახელმწიფოებზე ვეტოს ტოლფასია. ასეთ ვეტოს მორალური გამართლება არ აქვს, რადგან 1950 წლიდან დედამიწაზე არსებული მიწები უკვე დანაწილებული აქვთ სახელმწიფოებს. ტრადიციული გზა ახალი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად არის არსებული ტერიტორიიდან გამოყოფა.²⁷

საინტერესოა პროფესორ რონა სმიტის მოსაზრება თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით. იქედან გამომდინარე, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ცხოვრობენ გარკვეული უმცირესობები, რომლებმაც, შესაძლებელია, მოითხოვონ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა გამოყოფის გზით, ეს სრულ ქაოსს გამოიწვევს. მსოფლიოში მუდმივად მიმდინარეობს მოსახლეობის მიგრაცია და თუ ამ ეტაპზე მხოლოდ

²⁵ Hannum H., *Autonomy, Sovereignty and Self-Determination, The Accomodation of Conflicting Rights*, University of Pensilvania, Philadelphia, 1996, 44, www.books.google.ae [25.11.2024]

²⁶ Borgen Ch. J., *Kosovos Declaration of Independence, Self-Determination, Secession, and Recognition*, Volume: 12, Issue 2, 2008, 28 february

²⁷ Treanor P., *The Ethics of Secession*, 2005, <http://web.inter.nl.net> [25.11.2024]

მცირერიცხოვანი უმცირესობა სახლობს გარკვეულ ტერიტორიაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალში ისინი არ გარდაიქმნებიან მრავალრიცხოვან უმცირესობად. თუ ეს მრავალრიცხოვანი უმცირესობები მუდმივად მოითხოვენ დამოუკიდებლობას, ეს ყოველ ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ გამოიწვევს საზღვრების ცვლილებებს. უმცირესობათა უფლებები უნდა იქნას დაცული. მოთხოვნის შემთხვევაში უმცირესობებს უნდა მიეცეთ ავტონომია, მაგრამ, იმავდროულად, უნდა განხორციელდეს მათი იმ ქვეყნებში ინტეგრაცია, სადაც ცხოვრობენ.²⁸

საერთაშორისო სამართლის მიერ რეგულირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უმცირესობათა უფლებების დაცვაა.

გაეროს გენერალური სამდივნოს 1950 წლის მემორანდუმში აღნიშნულია, რომ, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინ „უმცირესობების“ დეფინიცია ვერ განხორციელდება. ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის განცხადებით, რთულია ყველა სახის უმცირესობისთვის შეიმუშაო ერთი ზოგადი დეფინიცია, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც მეტად მოწყვლადია და შესაბამის დაცვას საჭიროებს.²⁹

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია უმცირესობებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს მოიცავს. გამოხატვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება და გაერთიანებათა შექმნის თავისუფლება, თუმცა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში (1966) ცალკე ჩამოყალიბდა უმცირესობებთან დაკავშირებული მუხლი (მუხლი 27), რომელიც მოიცავს კულტურით სარგებლობას, რელიგიის ქადაგებასა და ღვთისმსახურების შესრულებას, ენის გამოყენებას.³⁰

გაერომ 1992 წელს მიიღო ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობებს მიკუთვნებული ადამიანის უფლებების შესახებ დეკლარაცია. სადაც აღნიშნულია, რომ „პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობებს, უფლება აქვთ ჰქონდეთ თავიანთი კულტურა, აღიარონ

²⁸ Institut za evropske poslove, Teritorial integrity vs. Self-Determination (Serbia and Kosovo as an example), 2015

²⁹ Capotorti F., Study of the Rights of Persons, Belonging to Ethnic Religious and Linguistic Minorities, Special Report of the Sub-Commission of Discrimination and Protection of Minorities, New-York, 1979, 6.

³⁰ იქვე, 453

საკუთარი რელიგია და ჩაატარონ ღვთისმსახურება, გამოიყენონ მშობლიური ენა პირად ცხოვრებაში და საჯაროდ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“ ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი მონაწილეობა პოლიტიკაში.³¹

„ხალხთა თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით დღემდე განსაკუთრებით პრობლემური საკითხი „ხალხის“ დეფინიციაა. ტერმინ „ხალხის“ განმარტება არცერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, პაქტსა თუ დეკლარაციაში არ გვხვდება. ამგვარ დოკუმენტებში ძირითადად აღნიშნულია, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ ისინი არ განმარტავენ ტერმინ „ხალხებს“.³²

რაც შეეხება „მკვიდრ ხალხებს“, ისინი არიან ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ტერიტორიის პირვანდელ ადგილობრივ მაცხოვრებლებს.³³

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ 1989 წელს (№169) მიიღო კონვენცია მკვიდრ ხალხთა და ტომებად მცხოვრებ ხალხთა უფლებების შესახებ. კონვენციით განსაზღვრულია ისეთი საკითხები „როგორებიცაა: მკვიდრი და ტომობრივი წესით მცხოვრები ხალხების ჩვეულებები და ტრადიციები, უფლებები მიწაზე, ტრადიციულად კუთვნილ მიწებზე აღმოჩენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და სხვ.“³⁴

2007 წელს გაერომ მკვიდრ ხალხთა უფლებების შესახებ მიიღო დეკლარაცია,³⁵ სადაც აღნიშნულია, რომ „მკვიდრ ხალხებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით მათ თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური სტატუსი და თავისუფლად განახორციელონ საკუთარი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული

³¹ სმიტი რონა კ.მ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მ. ნინიძის თარგმანი, გ. ჯოხაძის რედაქტორობით, თბილისი, სეზანი, 2005, 459 იხ. ციტირება ჯულაყიძე მ., „უმცირესობების“, „ხალხების“ და „მკვიდრი ხალხის“ კონცეპტები საერთაშორისო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი #4 (64), 2019, 173

³² Jiqia M., Right to Self-Determination vs. Teritorial Integrity, Tbilisi, Publishing House Universal, 2011, 18

³³ სმიტი რონა კ.მ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მ. ნინიძის თარგმანი, გ. ჯოხაძის რედაქტორობით, თბილისი, სეზანი, 2005, 388

³⁴ Indigenous and Tribal Peoples Convention, 1989, (No. 169), www.ilo.org [25.11.2024]

³⁵ United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples, General Assembly, 2007, www.undocs.org [[25.11.2024]

განვითარება.³⁶ დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია რომ არ შეიძლება მკვიდრ ხალხთა მალდატანებით ასიმილაცია.³⁷

„მკვიდრი ხალხების“ დეფინიცია დღესდღეობით არ არსებობს. დეკლარაციის ტექსტზე მუშაობის დრო თავად „მკვიდრი ხალხების“ ორგანიზაციამ თქვა უარი მოეხდინათ „მკვიდრ ხალხთა“ ტერმინის განმარტება. მათ საფრთხის შემცველად მოეჩვენათ მკაცრად განსაზღვრული დეფინიცია, რომელიც შესაძლოა მოგვიანებით თავისთავად ტერიტორიაზე მკვიდრი ხალხების არაღიარების პოლიტიკა გამხდარიყო.³⁸

თავი II. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მნიშვნელობა

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ხელშეუვალობა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებასა და ნორმაში გვხვდება.³⁹

თვითგამორკვევის პრინციპისგან განსხვავებით, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ერთა ლიგის 1924 წლის პაქტში ასახეს. სადაც აღნიშნულია, რომ ერთა ლიგის წევრები ვალდებული არიან პატივი სცენ და დაიცვან ორგანიზაციის ყველა წევრის ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მათ შორის გარე აგრესიისგან.⁴⁰

გაეროს 1945 წლის წესდების მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობებისას თავს იკავებს ძალის, მუქარის ან მისი მსგავსი ექსცესის გამოყენებისაგან, ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.⁴¹

³⁶ იქვე

³⁷ Turpel M.E., Indigenous People's Rights of political Participation and Self-Determination: Recent International Legal Developments and the Continuing Struggle for Recognition, Cornell International Law Journal, Vol 25, Iss, 3, Article 6, 1992, 580

³⁸ M. Jiqia, Right to Self-Determination vs. Teritorial Integrity, Tbilisi Publishing House Universal 2011, 25-26

³⁹ Shirmammadov Kh., How Does the International Community Reconcile the Principles of Territorial Integrity and Self-Determination: The Case of Crimea, Russian Law Journal, vol. 4 (1), 2016, 80.

⁴⁰ The Covenant of League of Nations, 1924, Article 10, Avalon.law.yale.edu [25.11.2024]

⁴¹ UN Charter, article 2 (4), 1945, <https://www.un.org> [25.11.2024]

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ეხმიანება ასევე 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ 1514 (XV). სადაც საუბარია ყველა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის, ყველა ხალხისა და მათი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე.⁴²

სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ 1970 წლის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ნებისიერი მცდელობა, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეროვნული ერთიანობის ან ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნაწილობრივი ან სრული დარღვევისაკენ, ეწინააღმდეგება გაეროს ქარტიის მიზნებს.⁴³ „არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება, პირდაპირ თუ ირიბად, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, ჩაერიოს მეორე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში“.⁴⁴

1975 წლის ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში და 1990 წლის პარიზის ქარტიაში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პატივისცემით მოეკიდონ თითოეული ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ამის შესაბამისად, ისინი თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც მიმართულია ყოველი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. არავითარი ოკუპაცია კანონიერად არ ჩაითვლება.⁴⁵

მთავარი ურთიერთკავშირი ტერიტორიული მთლიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპს შორის ის არის, რომ გარე თვითგამორკვევის უფლება მოიცავს ტერიტორიის მოთხოვნას. სეცესია ტერიტორიული ცვლილებაა, რაც შეიძლება გამოვლინდეს, როდესაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოეყოფა გარკვეული ნაწილი, ან არათვითმმართველი

⁴² Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples, General Assembly Resolution 1514 (XV) of 14 December 1960, paragraph 7, <https://www.ohchr.org/> [25.11.2024]

⁴³ Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with the Charter of the United Nations, Preamble, (24/10/1070)

⁴⁴ იქვე: პრეამბულა

⁴⁵ Helsinki Final Act, 1975, <www.osce.org> [25.11.2024]

ტერიტორია, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით.⁴⁶ ასეთი სეპარაციის დროს წარმოშობილი კონფლიქტის შემთხვევაში, საერთაშორისო სამართალი მესამე მხარეს მოუწოდებს ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ჩარევა შესაძლოა, სახელმწიფოს შიდა საქმეში ჩარევად დაკვალიფიცირდეს.⁴⁷

თვითგამორკვევის პრინციპი ხომ არ დგას უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ან პირიქით?⁴⁸ პოლ დუტა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალი ყოველთვის სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს და ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერა ხორციელდება ნებისმიერი ცალმხრივად გამოყოფის სურვილის წინააღმდეგ.⁴⁹ თუმცა, დეკოლონიზაციის შემდეგ ძალიან რთული გახდა სახელმწიფოს გამოყოს გარკვეული ტერიტორია და მან საერთაშორისო სამართლებრივი აღიარება მოიპოვოს.⁵⁰

სახელმწიფო „ტერიტორიული მთლიანობის პრინციპით მოსარგებლე ერთეულია, მაგრამ ვინ არიან აღნიშნული პრინციპის ადრესატები? ანუ ვინ უნდა სცეს პატივი ამ პრინციპს და რეალურად ვის ძალუმს დაარღვიოს ეს კანონი? კოსოვოს საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებით. ამ პოზიციის დასასაბუთებლად მან მოიხსენია სამი საერთაშორისო დოკუმენტი, გაეროს ქარტიის მე -2 მუხლის მე -4 პუნქტი, ასევე სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ დეკლარაცია⁵¹ და ჰელსინკის ფინალური აქტი. სამივე დოკუმენტის (რომლებზეც სასამართლომ გაამახვილა ყურადღება)

⁴⁶ Gudeleviciute V., Does the Principle of Self-Determination Prevail over the Principle of Territorial Integrity, *International Journal of Baltic Law*, vol. 2, no. 2, April 2005, 73.

⁴⁷ Duta P., Considerations on Territorial Integrity and Unilateral Separation, *Research and Science Today* 7 (2), 2014, 145

⁴⁸ Blay, S. K. N. Self-determination Versus Territorial Integrity in Decolonization, *New York University Journal of International Law and Politics*, 18(2), 1986, 442

⁴⁹ Duta P., Considerations on Territorial Integrity and Unilateral Separation, *Research and Science Today* 7 (2), 2014, 145

⁵⁰ Gudeleviciute V., Does the Principle of Self-Determination Prevail over the Principle of Territorial Integrity, *International Journal of Baltic Law*, vol. 2 (2), 2005, 54.

⁵¹ ჯულაყიძე მ., ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვის პრობლემა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში, *მართლმსაჯულება და კანონი*, #2(74), 2022, 63

პირდაპირი ადრესატები არიან სახელმწიფოები, რომლებმაც თავი უნდა შეიკავონ ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენებისგან და პატივი სცენ სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე ჯორჯ ნოლტე აღნიშნავს, რომ, ჩარევა შესაძლოა „განხორციელდეს სახელმწიფოს მოწვევის საფუძველზე. ეს განსაკუთრებით ეხება სეცესიონისტურ კონფლიქტებში სახელმწიფოს მოწვევით ჩარევას. მთავრობის მოწვევით ამგვარი ჩარევები მიზნად ისახავს სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. ასეთი ფორმის ჩარევას აუცილებლად უნდა ჰქონოდა იურიდიული საფუძველი. უცხოური ჯარების მოწვევა მთავრობის მიერ, რომელიც განიცდის სეპარატისტულ კონფლიქტებს, არ არღვევს ჩარევის პრინციპს.⁵² მესამე სახელმწიფოების მიერ „მოქმედების“ დასაშვებობა, რომლებმაც შეიძლება „გაანადგურონ ან ზიანი მოუტანონ მშობლიური ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას“, უნდა ასაბუთებდეს სეცესიის კანონიერებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის მიზანი არ იყო საერთაშორისო სამართლის თანახმად სეცესიის უფლების არსებობა, საკითხი ირიბად არის განხილული მე-7 პუნქტში მესამე სახელმწიფოს მიერ „მოქმედების“ დასაშვებობის კონტექსტში, იმ შემთხვევებში, როდესაც ის სახელმწიფო სერიოზულად არღვევს თვითგამორკვევის უფლებას.“⁵³

თავი III. კოსოვოს პრეცედენტის საერთაშორისოსამართლებრივი შეფასება

კოსოვოს 1968 წლიდან ჰქონდა ნაწილობრივი დამოუკიდებლობა, როგორც სერბეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. 1989 წელს სერბეთმა კოსოვოს ავტონომია გააუქმა. საბოლოოდ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის წარმოიშვა კონფლიქტი.

⁵² Nolte G., *Secession and External Intervention, Secession International Law Perspectives, Introduction*, Cambridge University Press, edited by Kohen M. G., 2006, 83

⁵³ Dugan J. and Raic D., *The Role of Recognition in the Law and Practice of Secession, Secession International Law Perspectives, Introduction*, Cambridge University Press, edited by Kohen M. G., 2006, 104 იხ. ციტირება ჯულაყიძე მ., ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვის პრობლემა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში, მართლმსაჯულება და კანონი, #2(74), 2022, 64

მომდევნო წლებში სერბეთის ბრძანებით დაიხურა ალბანურენოვანი მედია, შეწყდა ალბანური ენის სწავლება უმეტეს სკოლებში. როდესაც 1990 წელს სერბეთის ასამბლეამ მუშაობა შეწყვიტა კოსოვოსთან, კოსოვომ საპასუხოდ სუვერენიტეტი გამოაცხადა. 1991 წელს კოსოვოელმა ალბანელებმა ფორმალურად მიიღეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია.⁵⁴

1997 წელს შეიქმნა კოსოვოს ლიბერალური არმია, რომელმაც დაიწყო დარტყმითი შეტევები. იუგოსლავიის ჯარებმა, ასაკისა და სქესის განურჩევლად, დიდი რეაგირება განახორციელეს და თავდასხმები დაიწყეს. 200,000-ზე მეტი კოსოვოელი ალბანელი იძულებული გახდა დაეტოვებინათ თავიანთი სახლები. 1998 წლის თებერვალ-მარტში, კოსოვოს ლიბერალური არმიის (KLA) ოჯახები სრულიად გაანადგურეს.⁵⁵ კოსოვოში ომის დასრულების შემდეგ დაახლოებით ერთ მილიონამდე კოსოვოელი ალბანელი გაიქცა ან გააძევეს საკუთარი სახლებიდან, რაც ომამდელი მოსახლობის 45%-ს შეადგენდა.⁵⁶

1998-2000 წლებში გაეროს უშიშროების საბჭომ 6 რეზოლუცია მიიღო კოსოვოში არსებულ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით, სადაც ის მხარეებს მოუწოდებდა ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისკენ.⁵⁷ უშიშროების საბჭო ღრმა შემფოთებას გამოხატავდა ჰუმანიტარული სიტუაციის სწრაფი გაუარესების გამო კოსოვოს მასშტაბით და ადასტურებდა, ყველა ლტოლვილის და იძულებით გადაადგილებული პირის უფლებას, მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სახლში.

საფრანგეთში, რამბუიეში, 1999 წლის თებერვალში ჩატარებულმა კონფერენციამ კოსოვოსთან დაკავშირებით, სადაც აღინიშნა, რომ კოსოვოს მოქალაქებს უნდა ჰქონოდათ დემოკრატიული თვითმმართველობისა და თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობის უფლება, შედეგი ვერ გამოდო.⁵⁸ მილოშევიჩმა უარი თქვა რამბუიეს შეთანხმებაზე.⁵⁹

⁵⁴ Krieger H., *The Kosovo Conflict and International Law*, Cambridge International Document Service Volume 11, 2001

⁵⁵ იქვე

⁵⁶ Dobbins J., McGinn J. G., Crane K., Jones S. G., Lal R., Rathmell A., Swanger R., Timilsina A., *America's Role in Nation Building*, RAND Corporation, 2003, 113

⁵⁷ UN security council, resolution 1160 1998, 31 march, <www.un.org> [27.12.2024]

⁵⁸ Weller M., *The Rambouillet Conference on Kosovo*, International Affairs, Volume 75, Issue 2, 1 April 1999, 211-251

⁵⁹ Hosmer S. T., *The Conflict Over Kosovo*, RAND Corporation, 2001, 17-18

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ორჯერ გააკეთა განცხადება (1998 წლის აგვისტოში და სექტემბერში), რომ კოსოვოში სამხედრო დაპირისპირების გაგრძელების შემთხვევაში ნატო განახორციელებდა სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციებს.

1999 წლის 24 მარტს დაიწყო ნატოს ჰუმანიტარული ინტერვენცია. ამ დღიდან ეს ფაქტი სამოცდათვრამეტდღიან დაბომბვის კამპანიად გადაიქცა.⁶⁰ ნატოს ინტერვენციის შემდეგ, 1999 წლის 3 ივნისს, მილოშევიჩმა ნატოს პირობები მიიღო.⁶¹

მილოშევიჩის ქმედებები შეფასდა როგორც ტერორიზმისა და ეთნიკური წმენდის სასტიკი კომბინაცია. ცენტრალური კოსოვო დაცარიელდა ეთნიკური ალბანელებისგან.⁶²

კოსოვოს ომი საერთაშორისო სამართალში შესაძლოა, გარდამტეხ წერტილად იქცეს.⁶³ „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ დოქტრინის მომხრეების აზრით, კოსოვო გახდება კონკრეტული მაგალითი, ძალის ლეგიტიმური გამოყენების კუთხით, ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე.⁶⁴

2006 წელს კოსოვოს ომის კონტექსტში აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ჰუმანიტარულ ინტერვენციას „მოწყვლადი პირების დაცვა“ უწოდა. ეს ასევე დასტურდება ახლად წარმოშობილი კონცეფციით - „დაცვის პასუხისმგებლობა“ და ჰუმანიტარულ კრიზისში ჩარევა.⁶⁵

⁶⁰ Grant R., Airforces made it work, Airforce magazine, November 1999, 30-37

⁶¹ Dobbins J., McGinn J. G., Crane K., Jones S. G., Lal R., Rathmell A., Swanger R., Timilsina A., America's Role in Nation Building, RAND Corporation, 2003, 111-112

⁶² Grant R., Airforces made it work, Airforce magazine, November 1999, 30-37

⁶³ Hiton B., Today Kosovo, Tomorrow the World, New Statemant, April 2, 1999

⁶⁴ Merriam J.J., Kosovo and Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of international Law, Volume 33, 2001, 113

⁶⁵ Steinke R. R., A Look Back at NATO's 1999 Kosovo Campaign: A Questionably "Legal" but Justifiable Exception, Partnership for Peace Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes, Connections, Vol. 14, 4, 2015, 53-54

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობის გამო ნატოს ჰუმანიტარულმა ინტერვენციამ ვერ მიიღო გაეროს მხარდაჭერა, ნატოს ინტერვენციამ შეძლო შეეჩერებინა მასშტაბური ძალადობა და ეთნიკური წმენდა.⁶⁶

2008 წლის ოქტომბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სერბეთის მოთხოვნისა და კენჭისყრის შედეგად მიმართა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შემდეგი კითხვით: არის თუ არა კოსოვოს ცალხმრივი დამოუკიდებლობის დეკლარაცია, დროებითი თვითმმართველობის ორგანოებით, საერთაშორისო სამართლის შესაბამისობაში?⁶⁷

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ იმსჯელა ზოგად საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით და საკონსულტაციო მოსაზრებაში გაახმოვანა შემდეგი:

სახელმწიფოთა პრაქტიკა ნათლად მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართალი არასოდეს მოიცავდა აკრძალვებს დამოუკიდებლობის აქტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო სამართლის მიხედვით თვითგამორკვევა ისე განვითარდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებლობის უფლება მოსახლეობისთვის და თვითგამორკვევა ხალხისთვის გახდა უცხოელთა ბატონობის, დომინანტობისა თუ ექსპლუატაციის დასასრული. სასამართლომ დაასკვნა, რომ კოსოვოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაციით არ დარღვეულა საერთაშორისო სამართლის რომელიმე ნორმა.

2005 წელს გაეროს სამიტზე მიიღეს მთავრობათაშორისი დონის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოების უპირველესი პასუხისმგებლობა გახდა, დაიცვან მოსახლეობა გენოციდის, ომის დანაშაულების, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უკანონობისა და ეთნიკური წმენდისგან. თუ ქვეყნები ვერ შეძლებენ ამ პირობის დაცვას, ეს საკითხი გახდება საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხისმგებლობის საქმე. ასეთ

⁶⁶ ჩიტამე ნ., ნატო, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბილისი, 2008, 115

⁶⁷ Resolution Adopted by the General Assembly, United Nations, A/RES/63/3, Request for an advisory opinion of the International Court of Justice on whether the unilateral declaration of independence of Kosovo is in accordance with international law, 2008

შემთხვევებში უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედმა წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ვეტოს უფლებისგან.⁶⁸

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი არ გამორიცხავს სეცესიის შესაძლებლობას, ის უზრუნველყოფს გარკვეული ჩარჩოების არსებობას, რომლის ფარგლებშიც გარკვეული სეცესიები დასაშვებია ან დაწუნებულია, ფაქტებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში მთავარი საკითხია,⁶⁹ ჰქონდა თუ არა კოსოვოს თვითგამორკვევის უფლებაზე დაყრდნობით სეცესიით სარგებლობის უფლება და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თავის გამოცხადების უფლება. ასევე, დაირღვა თუ არა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასთან მიმართებით? თვითგამორკვევით და კონკრეტულად სეცესიით სარგებლობა რომ შეძლოს ამა თუ იმ უმცირესობამ, საჭიროა:

- სეცესიონისტები აკმაყოფილებდნენ „ხალხის“ დეფინიციას;
- სახელმწიფო, რომლისგანაც გამოყოფას ცდილობენ, მძიმედ უნდა არღვევდეს მათ უფლებებს;
- არანაირი სხვა ეფექტური ღონისძიება და შესაძლებლობა აღარ უნდა რჩებოდეს, არც შიდასახელმწიფოებრივ და არც საერთაშორისო სამართალში, გარდა იმისა, რომ განხორციელდეს სეცესია.

კოსოვოსთან დაკავშირებით, ისმის კითხვა, წარმოადგენენ თუ არა კოსოვოელი ალბანელები „ხალხს“. მაგალითისათვის გამოდგება კანადის უზენაესი სასამართლოს აზრი, კვებეკის სეცესიასთან დაკავშირებით - „ხალხის“ მნიშვნელობა არის ნაწილობრივ ბუნდოვანი, განუსაზღვრელი. ტერმინი „ხალხი“ გამოიყენებოდა სახელმწიფოში მცხოვრები იმ ერის გამოსახატავად, რომლებიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

კოსოვოელებთან დაკავშირებით, შესაძლებელია, დამტკიცდეს, რომ ისინი არიან „ხალხი“, რომლებიც საუკუნეების წინად დასახლდნენ კოსოვოს ტერიტორიაზე, თუმცა კოსოვოელი

⁶⁸ იქვე, 4

⁶⁹ Borgen Ch. J., Kosovos Declaration of Independence, Self-Determination, Secession, and Recognition, Volume: 12, Issue 2, 2008

ალბანელები ზოგადად უფრო მეტად აღიქმებიან ალბანურ ეთნიკურ ანკლავად, ვიდრე ერად.

ტერმინი „ხალხის“ საკითხი საზოგადოებამ კრიტიკულად მიიღო, მისი შეზღუდული ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად, ეს საკითხი ღიად რჩება.⁷⁰

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, ადგილი ჰქონდა თუ არა ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვან დარღვევებს იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა კოსოვო. ამ შემთხვევაში არსებობს უტყუარი არგუმენტები იმისა, რომ სერბების მხრიდან წარმოებდა ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები კოსოვოელების წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ იქ სუფევდა მძიმე ჰუმანიტარული სიტუაცია და საფრთხეში იყო საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. მასობრივად ირღვეოდა ადამიანის უფლებები. ხშირი იყო ადამიანთა გატაცება, მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობა; ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ თითქმის მილიონ ადამიანს მიაღწია, რამაც საბოლოო ჯამში, 1999 წელს, გამოიწვია ნატოს ინტერვენცია, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევებს ადგილი ჰქონდა კოსოვოელი ალბანელების მხრიდანაც. საერთაშორისო საზოგადოებამ მიიჩნია, რომ, ადამიანის უფლებათა დარღვევებიდან გამომდინარე, ჩარევა დროულად მოხდა. იქ სიტუაცია იმდენად დამაბული იყო, რომ მისი აღმოფხვრა ვერ მოხერხდებოდა შიდა პოლიტიკური სტრუქტურების მხრიდან⁷¹.

რაც შეეხება მესამე საკითხს - არსებობდა თუ არა რაიმე კრიტერიუმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მხრეთა შორის მოლაპარაკების გზით საკითხის გადაჭრას და არის თუ არა სცესია ერთადერთი გამოსავალი? წლების მანძილზე გაერო, ეუთო, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები ცდილობდნენ შუამავლის როლი შეეთავსებინათ და მოლაპარაკებებში ჩაერთოთ მხარეები. ორმა მხარემ ვერ შეძლო გადაეჭრა საკითხი. მედიატორის როლს ასრულებდა ე.წ. „ტროიკაც“, რომელმაც განაცხადა, რომ პოლიტიკური მოლაპარაკება არ შედგა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამხედრო

⁷⁰ Borgen Ch. J., Kosovos Declaration of Independence, Self-Determination, Secession, and Recognition, Volume: 12, Issue 2, 2008

⁷¹ იქვე

ინტერვენციით კოსოვოს სერბეთის ფარგლებში შენარჩუნებულიყო. პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სეცესიის გარდა, უკეთესი რეალური ვარიანტი არ რჩებოდა.

საერთაშორისო სამართალი ადგენს სეცესიის მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტებს. სისტემური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალი იხრება სეცესიის წინააღმდეგ, თუმცა თუ ვიმსჯელებთ, იქიდან გამომდინარე, რომ სეცესია საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ არის აკრძალული, ამ შემთხვევაში კოსოვო წარმოადგენს ფაქტების ისეთ ერთობლიობას, რომლებიც შესაძლოა, დამაჯერებელი იყოს: ეთნიკური ჯგუფი, (თუმცა, ალბათ, არა „ერი“), რეგიონის ისტორიულად დაკანონებულ საზღვრებთან (კოსოვო, როგორც პროვინცია) საერთაშორისო ინტერვენციის შემდეგ, რაც მიზნად ისახავდა წინამორბედი სახელმწიფოსაგან ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილებას, ამ წინამორბედ სახელმწიფოსთან ჩიხში შესული მოლაპარაკებების შემდეგ, აცხადებს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტის დეკლარაციით, რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ.

დღეს კოსოვო 106 ქვეყნის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

თავი IV. აფხაზეთის კონფლიქტის საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება

საბჭოთა კავშირში გაწევრიანებული საკავშირო რესპუბლიკები, ზოგადად, შედგებოდა უფრო მცირე ფედერალური ერთეულებისგან - როგორებიცაა ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური რეგიონები - რომლებსაც ჰქონდათ დაქვემდებარებული პოზიცია და ნაკლები ადმინისტრაციული უფლებამოსილება. აფხაზები, მაგალითად, გახდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ტიტულოვანი ერი საქართველოს საკავშირო რესპუბლიკაში.

საქართველოსგან განსხვავებით, რომელიც, როგორც საკავშირო რესპუბლიკა, კონსტიტუციით იყო გამოცხადებული სუვერენულად და ჰქონდა სეცესიის უფლება, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას არ ჰქონდა ფორმალური სუვერენიტეტი და სეცესიის უფლების გარეშე იყო წარმოდგენილი.⁷²

⁷² Coppieters B., The Georgian-Abkhaz Conflict, JEMIE - Journal on ethnopoltics and minority issues in Europe, 2004, 1-2 www.ssoar.info [27.12.2024]

აფხაზეთის პერსპექტივიდან ეროვნული თვითგამორკვევის უფლების მიღწევა მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის საკავშირო რესპუბლიკის სტატუსით ჩანაცვლებით შეიძლებოდა. ეს გამოიწვევდა სუვერენული სახელმწიფოებრიობის მოპოვებას და სეცესიის ფორმალურ უფლებას. ეთნიკური აფხაზების კონტროლი გაძლიერდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაზე, აფხაზები აკონტროლებდნენ სამთავრობო პოსტების ორ მესამედს.⁷³

1991 წელს საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აფხაზეთმა არ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა სსრკ-სგან.⁷⁴

გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, აფხაზეთის ლიდერებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ახალ საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით, შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც 18% აფხაზებს შეხვდათ - 28 ადგილი აფხაზეთის უზენაეს საბჭოში, ხოლო 47% ქართველებს გადაუნაწილდათ - 26 ადგილი, დარჩენილი 35% - მოსახლეობას, რომელთა დიდ ნაწილს სომხები და რუსები შეადგენდნენ, ერგოთ 11 ადგილი. 1992-1993 წლებში „ქართულ-აფხაზური“ ომი საქართველოს ტერიტორიის დაკარგვითა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა, რაც აისახა მის კონსტიტუციაში 1994 წლის 26 ნოემბერს.⁷⁵

ჩრდილოეთ კავკასიის ერებთან შედარებით, რომელთა ავტონომიური სტატუსი რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, აფხაზებს ჰქონდათ შეუდარებლად დიდი შესაძლებლობები, შეენარჩუნებინათ ენა და კულტურა. აფხაზებს, ისევე როგორც ოსებს, შეეძლოთ ესარგებლათ საქართველოში კარგი საგანმანათლებლო ინსტიტუციებით.⁷⁶

⁷³ Stephen Jones, "Border Disputes and Disputed Borders in the Soviet Federal System", in Nationalities Papers, vol. 15 no. 1, Spring 1987, 56 ობ. ციტირება Cornell E. S., Autonomy and Conflict, Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia, Uppsala 2002, 153 <https://isdp.eu> [27.12.2024]

⁷⁴ Stephen S., The Proliferation of Status Proposals for Abkhazia – Distinct Concepts or Mere Labels, International Journal on Minority and Group Rights 20 (1), 2013, 125

⁷⁵ Bagdasaryan S., Petrova S., The Republic of Abkhazia as an Unrecognized State, Russian Law Journal, Vol. V, 2017, 99.

⁷⁶ Gerber, Georgien, p. 128 ობ. ციტირება Cornell E. S., Autonomy and Conflict, Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia, Uppsala 2002, 152 <https://isdp.eu> [27.12.2024]

ეთნიკური წმენდის კამპანიის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები პრაქტიკულად ყველა ქართველი გამოასახლეს. აღნიშნულმა კონფლიქტმა გამოიწვია ათობით ათასი ადამიანის სიკვდილი და დაახლოებით 250,000 ადამიანი იძულებით გადაადგილებულ პირად აქცია.⁷⁷

ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობა ტერორისა და თავდასხმების მსხვერპლად იქცა. ამ ადამიანებიდან 200 000-ზე მეტი, ძირითადად ეთნიკური ქართველი, დღეს დევნილად რჩება აფხაზეთის ფარგლებს გარეთ.⁷⁸ მათ ჩამორთმეული აქვთ სახლში დაბრუნების უპირობო უფლება.⁷⁹

მასობრივად დაირღვა ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული სამოქალაქო მოსახლეობის უფლებები. ფიზიკურად განადგურდა ეთნიკურად ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილი.

წითელი ჯვრის მიერ განხორციელებულმა, ინტერვიუებზე დაფუძნებულმა კვლევამ გამოავლინა გარკვეული არაერთგვაროვნება იმის შესახებ, თუ რატომ დაიწყო კონფლიქტი. კონფლიქტის ორივე მხარემ დაასახელა მთავარი ფაქტორები, რამაც შეტაკება გამოიწვია: ეთნიკური აფხაზების მიერ გაფართოებული ავტონომიის ან სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, რასაც მხარს უჭერდნენ აფხაზეთში არსებული სხვა ეთნიკური ჯგუფები; საქართველოს სურვილი, დაეცვა საკუთარი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ეთნიკური აფხაზების სეცესიისგან; რუსეთის ჩართულობა კონფლიქტში და მის შემდგომ პერიოდში.⁸⁰

1992 წლის 3 სექტემბერს დადებული ე.წ. მოსკოვის შეთანხმებით, რუსეთსა და საქართველოს შორის, აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ლიდერების

⁷⁷ Antonenko, Oksana, “Frozen Uncertainty: Russia and the Conflict over Abkhazia”, in Bruno Coppieters and Robert Legvold (eds.), “Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution” (London: The MIT Press, 2005), 205 ობ. ციტირება Peterson A., The 1992-93 Georgia-Abkhazia War: A Forgotten Conflict, *Caucasian Review of International Affairs*, Vol. 2 (4), 2008, 187 www.d-nb.info [27.12.2024]

⁷⁸ ICRC, Country Report Georgia/Abkhazia, *People on War*, Geneva, 1999, 7

⁷⁹ Human Rights Watch, Georgia/Abkhazia Violations of Laws of War and Russia’s Roll in the Conflict, 1995 www.refworld.org [27.12.2024]

⁸⁰ იქვე: 1

მონაწილეობით, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა.⁸¹ დევნილებისთვის უნდა შექმნილიყო პირობები საკუთარ სახლებში დასაბრუნებლად.⁸²

აღნიშნულ შეთანხმებას, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გაეროს უშიშროების საბჭო. რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ხელყოფის დაუშვებლობა.⁸³

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დაიდო ცეცხლის შეწყვეტისა და დევნილთა უპირობოდ დაბრუნების შესახებ შეთანხმებები 1993-94 წლებში, სადაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიც იყო ჩართული.

თუმცა შეთანხმებები არ სრულდებოდა, მოლაპარაკებებს კი მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR) აკონტროლებდა 40,000-მდე ადამიანის უსაფრთხოებასა და უფლებებს, რომლებიც სპონტანურად დაბრუნდნენ გალის რაიონში, დარჩენილმა დევნილებმა ვერ შეძლეს უსაფრთხოდ დაბრუნება გალის მიღმა, თავიანთი წარმოშობის ადგილებში.⁸⁴ 40,000 დევნილის გალში დაბრუნება შეფასდა დახმარებისა და უსაფრთხოების გარანტიების გარეშე დაბრუნებად.⁸⁵ მათთვის ქართულ ენაზე განათლების მიღებაც კი შეზღუდულია.⁸⁶

გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ჯამში სულ ოცდათორმეტი რეზოლუცია მიიღო. ყველა რეზოლუციაში ხაზგასმით აღინიშნებოდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა და მხარდაჭერა. საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ დაბრუნებების საკითხის გადაწყვეტას.

⁸¹ Moscow Agreement, article 1, 3 September, 1992 <https://ucdpged.uu.se> [27.12.2024]

⁸² იქვე: article 5

⁸³ Chapter VIII, item 18, The Situation in Georgia, 1-2, 1992 <https://www.un.org> [27.12.2024]

⁸⁴ UNHCR, Global Report, Georgia at a Glance, 2000, 358 www.unhcr.org [27.12.2024]

⁸⁵ იქვე: 359

⁸⁶ Human Rights Watch Report, Georgia/Abkhazia: back Home but in Limbo, 2011 <https://www.hrw.org> [27.12.2024]

საბჭოს წევრები გმობდნენ აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკის დემოგრაფიული შემადგენლობის შეცვლის ნებისმიერ მცდელობას, მათ შორის, იმ პირთა აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლებით, რომლებიც აქამდე არ ცხოვრობდნენ იქ.⁸⁷

1994 წლის დეკემბერში ბუდაპეშტის ეუთოს სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში აფხაზეთში განხორციელებული მოვლენები, ქართული მოსახლეობის „ეთნიკურ წმენდად“ დაკვალიფიცირდა.⁸⁸

ეს გახლდათ პირველი დოკუმენტი აფხაზეთის ომის შემდეგ, სადაც ნახსენებია ტერმინი „ეთნიკური წმენდა“ ქართული მოსახლეობის მისამართით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რადგან როდესაც ხდება ასეთი ტერმინოლოგიის გამოყენება, შეუძლებელია იმ ტერიტორიაზე შემდგომში ჩატარებული არჩევნები ჩაითვალოს ლეგიტიმურად, ისევე როგორც შეუძლებელია ასეთ ტერიტორიას მიენიჭოს სეცესიის უფლება. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გაეროს უშიშროების საბჭო ძალიან ფრთხილობდა შეფასებების გაკეთებას. მის არც ერთ რეზოლუციაში 2008 წლამდე არ არის ნახსენები ტერმინი „ეთნიკური წმენდა“.

აღნიშნული კონფლიქტის საკვანძო საკითხების, დევნილთა დაბრუნებისა და აფხაზეთის სტატუსის სამართლებრივი გადაჭრა დღემდე ვერ ხერხდება. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებას არ სურდა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში დაბრუნება, რადგან მათი დაბრუნება ავტომატურად შეცვლის დემოგრაფიულ სიტუაციას აფხაზეთში.⁸⁹

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის მაისში გამოსცა რეზოლუცია (62/249) სადაც ხაზი გაუსვა აფხაზეთიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის „ეთნიკური წმენდის“ მსხვერპლთა საკუთრების უფლებების დაცვის მნიშვნელობას.

⁸⁷ UN, Security Council Resolution, 896, 1994 <https://digitallibrary.un.org> [27.12.2024]

⁸⁸ CSCE, Budapest Summit Declaration Towards a Genuine Partnership in a New Era, 1994 <https://www.osce.org> [27.12.2024]

⁸⁹ საქართველოში მომხადრ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, 2009, ტომი II, 101-103 <https://smr.gov.ge> [27.12.2024]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დღეებში აფხაზეთმა ძალებმა, რუსული ძალების მხარდაჭერით, აიღეს კოდორის, იგივე ზემო აფხაზეთის ტერიტორია.⁹⁰ გამომდინარე იქიდან, რომ ზემო აფხაზეთი, არ ეკუთვნოდა აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას, მოსკოვის შეთანხმების დებულებების შესაბამისად, რუსეთის ძალების მიერ მხარდაჭერილი აფხაზეთი შენაერთების აღნიშნულ ტერიტორიაზე თავდასხმა წარმოადგენდა ძალის უკანონო გამოყენებას, რომელიც აკრძალული იყო, როგორც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით, ასევე გაეროს წესდების მე-2 მუხლით (4), ისევე როგორც აკრძალული იყო საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული თავდასხმა გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად.

გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყველა სახელმწიფომ საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავოს ძალის გამოყენებისგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამ მუხლის თანახმად, საუბარია სახელმწიფოებს შორის ძალის გამოყენებისგან თავის შეკავებაზე და არაფერია ნათქვამი ქვეყნის შიგნით არსებული აჯანყებული რეგიონების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე. საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის რეპორტში კი ისეა მოცემული, რომ სამართლებრივი რეჟიმი ძალისმიერი ქმედებების მიმართ გამოიყენება კონფლიქტში ჩართული ყველა სუბიექტისთვის ერთნაირად - ორი სახელმწიფოსთვის, რუსეთისა და საქართველოსთვის და, ამავდროულად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისთვის. მსგავსი ერთიანი მიდგომა ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით ისეთი ერთეულების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს, მსუბუქად რომ ვთქვათ, უაღრესად საკამათოა. მისიის მიერ აღნიშნული მიდგომის დასაბუთება არ იყო ცხადი და თანმიმდევრული.⁹¹

იქედან გამომდინარე, რომ აფხაზეთი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, საქართველოს მხრიდან ადგილი ვერ ექნებოდა გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის

⁹⁰ იქვე, 11

⁹¹ Henderson Ch., Green J. A., The Jus Ad Bellum and Entities Short of Statehood in the report on the conflict in Georgia, The International and Comparative Law Quarterly, Vol 59, 2010, 131 <jsotre.org> [27.12.2024]

დარღვევას, რადგან იქ ხაზგასმით არის აღნიშნული სიტყვა „სახელმწიფო“, ეს რეგიონი კი არ არის სახელმწიფო, ხოლო არასახელმწიფო ერთეულზე თავდასხმა, რომელიც ქვეყნის შიგნით მდებარეობს, ვერ ჩაითვლება ქარტიის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევად. შიდასახელმწიფოებრივი შეტაკებები წესდებით არ არის გათვალისწინებული. მისიის რეპორტში აღნიშნულია, რომ ძალის გამოყენება საქართველოს მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ, შეუთავსებელია გაეროს წესდებასთან.⁹²

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ჯარების მხრიდან თავდასხმა არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, საქართველო აცხადებდა, რომ არავითარი გამართლება არ ჰქონდა მისი ტერიტორიის ამ ნაწილში რუსეთის ჯარების განლაგებას.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთის აღიარებას გენოციდის ბრალდებით ამართლებდა, ის ასევე ამტკიცებდა, რომ გენოციდის რისკის არსებობა საკმარისი იყო აფხაზეთის აღიარებისთვის.⁹³

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2008 წლის 1633-ე რეზოლუციით რუსეთს მოუწოდა დაუყოვნებლივ გაეუქმებინა აღნიშნული ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება.⁹⁴

ფაქტობრივად, აფხაზეთმა რუსებისა და ჩრდილოკავკასიელების ძალების დახმარებით აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოაძევეს ეთნიკური ქართველები, ხოლო უამრავი ადამიანი მოკლეს იმის გამო, რომ აფხაზეთის დემოგრაფიული მდგომარეობა შეეცვალათ და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ, შემდეგ კი მსოფლიოსთვის მოეთხოვათ მათი სამართლებრივი აღიარება. რუსეთის მტკიცება, რომ აფხაზეთი იმავენაირად იმსახურებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას, როგორც ეს კოსოვოში მოხდა, ყველანაირ საფუძველს არის მოკლებული. კოსოვოში ალბანელების გენოციდი და ეთნიკური წმენდა განხორციელდა და შეუძლებელი იყო კოსოვოელების თანაცხოვრება

⁹² იქვე, 132

⁹³ Dubinsky G., The Exceptions that Disprove the Rule – The Impact of Abkhazia and South Osetia on Exceptions to the Sovereignty Principle, *Yale Journal of International Law*, 34 (1), 2009, 245-246.

⁹⁴ Parliamentary Assembly of the Council of Europe, Resolution 1633, on the consequences of the war between Georgia and Russia, 2008

სერბეთთან ერთ სახელმწიფოში. აფხაზეთის შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, აფხაზეთმა განახორციელეს ქართველების ეთნიკური წმენდა, რაც დაადასტურა ეუთომ, 1994 წლიდან მოყოლებული, თავის რეზოლუციებში და გაეროს გენერალურმა ასამბლეამ - 2008 წლის მაისში მის 62/249-ე რეზოლუციაში.

დასკვნა

საერთაშორისო სამართალი, სამართლის სხვა დარგების მსგავსად, სტატიკური ხასიათის არ არის. საერთაშორისო საზოგადოების განვითარების ეტაპებთან ერთად იცვლება საერთაშორისო სამართლის კლასიკური მიდგომები, რადგან საბოლოოდ ყველაფერი ადამიანის უფლებების დაცვასა და საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებასთან არის დაკავშირებული.

ნაშრომის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, დასკვნით ნაწილში წარმოგიდგენთ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ორი პრინციპის - ერის თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის - თანაფარდობის საკითხისადმი პრაქტიკაზე დაფუძნებულ მიდგომებს და ტენდენციებს.

კლასიკური გაგებით, საერთაშორისო სამართალში ყველა პრინციპი ჰორიზონტალურად ერთ სიბრტყეზეა განთავსებული, თუმცა რეალობა XXI საუკუნეში განსხვავებულია, კერძოდ, შესაძლებელია რომელიმე საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი უპირატესი გახდეს სხვა პრინციპთან მიმართებით, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. კოსოვოს შემთხვევა სწორედ ის გამონაკლისია, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობამ დააფიქსირა პოლიტიკური ნება, სერბეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული ტერიტორია, გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მიუხედავად იმისა, რომ თვითგამორკვევის უფლება გულისხმობს, ხალხისთვის ისეთი ცხოვრების პირობების შექმნას, რომელიც მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს გაითვალისწინებს და შეძლებს განავითაროს საკუთარი იდენტურობის განმსაზღვრელი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ის ავტომატურად სეცესიას არ გულისხმობს.

სეცესიით ანუ „გარე თვითგამორკვევის“ უფლებით სარგებლობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება იქნეს რეალიზებული. თვითგამორკვევა რომ სეცესიის ფორმით განხორციელდეს, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ცალკეულ ხალხს შეზღუდული უნდა ჰქონდეს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური უფლებები, რაც უზრუნველყოფს მათ თვითმყოფადობას. ხალხს შეუძლია გამოიყენოს თვითგამორკვევა გამოყოფის უფლებით, იმ პირობებში, თუ სახელმწიფო მასიურად არღვევს მათ უფლებებს. ასეთ შემთხვევაში თვითგამორკვევა არის ერთგვარი დაცვის უფლება, რომლის გამოყენებაც შეიძლება განხორციელდეს ადამიანის უფლებების აღსადგენად საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს შორის უნდა მოხდეს ამ უკანასკნელისთვის პრიმატის მინიჭება.

სეცესია შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, როდესაც გამოყოფილმა ერთეულმა მიიღო სახელმწიფოთა მხრიდან აღიარება და შიდა სიცოცხლისუნარიანობის ისეთი დონე, რამაც შეუქცევადი გახადა მისი გამოყოფა მთავარი სახელმწიფოსგან.

კოსოვო ნათელი მაგალითია იმისა, როდესაც ერის თვითგამორკვევის პრინციპი პრიორიტეტულია სხვა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო სერბეთის მთავრობის მიერ კოსოვოში მცხოვრები ალბანელების უფლებათა მასშტაბური და უხეში დარღვევით. სერბეთმა კრიზისის მშვიდობიანად მოგვარების გზების ყველა შესაძლებლობაზე უარი თქვა. ოფიციალური ბელგრადის რეჟიმის მიერ კოსოვოელ ალბანელთა მასობრივი მკვლელობა, წამება და არაადამიანური მოპყრობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ეთნიკურ წმენდად შეფასდა; აღნიშნული კი მიჩნეულ იქნა იმის წინაპირობად, რომ შეუძლებელი იყო ალბანელთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და განვითარება სერბეთის სახელმწიფოში.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში კოსოვოს შემთხვევა საშიშ პრეცედენტს ქმნიდა, მას საერთაშორისო სამართლის ნორმებზე არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა. მისი განზოგადების პრეცედენტი ფაქტობრივად არ არსებობს. კოსოვოს სეცესიისა

და შემდგომი დამოუკიდებელი არსებობის ხელშეწყობა ასევე განპირობებული იყო აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული საერთაშორისო აქტორებით, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

როგორც აღნიშნულია ნაშრომში, აფხაზეთის კონფლიქტი განსხვავდება კოსოვოს კონფლიქტისგან, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიული ისტორიული მიკუთვნების საკითხი და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები სრულიად სხვაგვარია:

- აღნიშნულ ტერიტორიებს კონფლიქტებამდე სრულიად განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი ჰქონდათ, კერძოდ, იუგოსლავიის 1974 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა კოსოვოს ავტონომიური პროვინციის სტატუსს, რომელსაც ჰქონდა ზუსტად ისეთივე უფლებები და პრივილეგიები, როგორც იუგოსლავიაში შემავალ დანარჩენ რესპუბლიკებს, მათ შორის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება და ფედერაციულ დონეზე წარმომადგენლობის საკმაოდ დიდი კვოტა. აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის მიუხედავად, საბჭოთა კონსტიტუციაში მხოლოდ 15 რესპუბლიკა იყო გათვალისწინებული, რომელთაც თვითგამორკვევისა და სეცესიის ფორმალური უფლება ჰქონდათ.
- კოსოვოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ალბანელები წარმოადგენდნენ, ხოლო აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტი იყვნენ აფაზები და 45% ქართველები. საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების გარე თვითგამორკვევის უფლებას. ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თვითგამორკვევის უფლება არ შეიძლება იყოს დანაწევრებული, რადგან იგი ეკუთვნის მთელ მოსახლეობას. საქართველოს შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ თვითგამორკვევის უფლება მიეკუთვნება მთელ ქართულ მოსახლეობას და არა მის ეთნიკურ უმცირესობებს. თვითგამორკვევის უფლება გამორიცხავს ნებისმიერ ქმედებას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეთნიკური უმცირესობების შიდა თვითგამორკვევა შეიძლება მიღწეული იყოს სხვადასხვა დონის ავტონომიური მოწყობის გზით და მთავრობაში მონაწილეობის სრული ხელმისაწვდომობით

სუვერენული სახელმწიფოს შიგნით. შიდა თვითგამორკვევის მკაფიო მაგალითებია საკანონმდებლო დონეზე აფხაზეთა ჩართულობა სახელმწიფო მმართველობაში, აფხაზეთის ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება საქართველოს კონსტიტუციაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის, აფხაზეთის სახელმწიფო თეატრისა და აფხაზეთად გამოცემული ბეჭდური მედიის არსებობა. ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები სრულფასოვნად სარგებლობდნენ შიდა თვითგამორკვევის უფლებით.

- კოსოვოს სეცესიის საკითხი გამყარებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკურ-სამართლებრივი პოზიციით, რომელიც განპირობებული იყო კოსოვოში ალბანელების უფლებების მასიური და უხეში დარღვევებით. არც კონფლიქტამდე და არც კონფლიქტის პერიოდში აფხაზეთა ეთნიკურად შევიწროებისა თუ წმენდის ფაქტები არ არსებობდა. სწორედ ამის გამო ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული ამ ორი კონფლიქტის გაიგივება და კოსოვოს პრეცედენტის აფხაზეთზე განზოგადება. ამ მოსაზრებას ამყარებს უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციები აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებით. წლების მანძილზე გაერო თავს იკავებდა აღნიშნული კონფლიქტი შეეფასებინა როგორც ქართული მოსახლეობის „ეთნიკური წმენდა“. თუმცა 2008 წლის მაისში უშიშროების საბჭომ პირველად განაცხადა, რომ აფხაზი სეპარატისტების მხრიდან განხორციელებული ქმედებები იყო ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და საქართველოში კონფლიქტური რეგიონების სტატუსი განისაზღვრა როგორც „ოკუპირებული ტერიტორიები“.

აფხაზეთში ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები არამარტო ეთნიკური წმენდად, არამედ გენოციდად უნდა დაკვალიფიცირდეს. გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის (1949) მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ გენოციდი ნიშანავს ნებისმიერ ქვემოთჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით:

1. ჯგუფის წევრთა მკვლელობა

2. ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება
3. ჯგუფისთვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას⁹⁵

აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები მუხლობრივად შეგვიძლია შევადაროთ გენოციდის დანაშაულის კონვენციას.

1. ჯგუფის წევრთა მკვლელობა

რუსეთი არამხოლოდ იარაღს აწვდიდა აფხაზებს, არამედ რუსეთის ჯარის დანაყოფები უშუალოდ მონაწილეობდნენ ქართველების წინააღმდეგ ომში აფხაზეთთან ერთად.

რუსეთი სხვადასხვა კუთხით იყო პაუსხისმგებელი ადამიანის უფლებების დარღვევაში: მისი შეიარაღებული ძალების წევრებმა იარაღი მიაწოდეს ჯგუფებს ან პირებს, რომლებიც, ცნობილი იყო, რომ იარაღს გამოიყენებდნენ სისასტიკით. რუსეთის შეიარაღებული ძალების წევრებმა მართლაც განახორციელეს დიდი რაოდენობით თავდასხმები ქართულ სამიზნეებზე, რასაც მოჰყვა ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი.⁹⁶ მებრძოლები მიზანმიმართულად თავს დაესხნენ მშვიდობიან მოსახლეობას და სამოქალაქო სტრუქტურებს, დახოცეს ასობით მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები დაბომბვისა და სარაკეტო თავდასხმების გზით. მებრძოლებმა განალაგეს და იყენებდნენ ძირითად იარაღს სამოქალაქო ტერიტორიებზე, დაუფიქრებლად უქმნიდნენ საფრთხეს მშვიდობიან მოსახლეობას, სამხედრო სამიზნეების განლაგებით მათ სახლებთან ახლოს. ისინი ასევე იყენებდნენ იარაღს, როგორც არის რაკეტა „გრადი“. ადგილზე მყოფი ჯარები ატერორებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას კარდაკარ ჩხრეკის გზით და ფართოდ გავრცელდა ძარცვა, მოროდინობა და მკვლელობა.

⁹⁵ გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია, მე-2 მუხლი, 1949 www.matsne.gov.ge [27.12.2024]

⁹⁶ Human Rights Watch, Georgia/Abkhazia Violations of Laws of War and Russia's Roll in the Conflict, 1995 www.refworld.org [27.12.2024]

2. ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქური მოშლილობის მიყენება

ჰუმან რაითს ვოჩისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებში მრავალი ფაქტია მოყვანილი, ეთნიკური ნიშნით როგორ ხდებოდა ქართველების წამება, სხეულის ნაწილების დაზიანება, გაუპატიურება და სხვ. რუსულ ენაზე მოსაუბრე სამხედროები, მათ შორის ჩეჩნებიც, არკვევდნენ შეეძლოთ თუ არა მათ აფხაზურ ენაზე საუბარი და როდესაც რწმუნდებოდნენ რომ ნამდვილად ეთნიკური ქართველები იყვნენ, მათ წინააღმდეგ ახორციელებდნენ სასტიკ დანაშაულებრივ ქმედებებს. ასევე მრავალი ეთნიკური ქართველი ყავდათ თვეების მაძილზე ტყვეობაში, სასტიკ და არადამიანურ მოპყრობაში. მათ გამოსახსნელად ოჯახის წევრებს სთხოვდნენ გამოსასყიდს, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი კლავდნენ.

3. ჯგუფისთვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას

ომის შედეგად აფხაზეთის ტერიტორია მოსახლეობისგან დაიცალა. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გაიქცა ან გააძევეს. გაეროს საჭიროების შემფასებელმა მისიამ აფხაზეთში 1998 წელს აფხაზეთის იმჟამინელი მოსახლეობის დაახლოებითი რაოდენობა დათვალა, რამაც 200,000 ადამიანი შეადგინა. ეს არის რეგიონის ომამდელი ეთნიკურად ქათველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რადგან 1989 წლის აღწერით აფხაზეთში 239,000 ეთნიკური ქათველი ცხოვრობდა. რაც შეეხება გარდაცვლითა რაოდენობას, ოფიციალური მონაცემებით ეს რიცხვი არის 6,000 ეთნიკური ქათველი. რეალურად 1989 წლის შემდეგ ეთნიკური ქართველების შობადობა რომც შემცრებულიყო, გარდაცვლითა რაოდენობა 6,000-ს ბევრად აღემატება. კონფლიქტის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად არ დარჩენილან ქათველები, რადგან ხორციელდებოდა მათი ეთნიკური ნიშნით დევნა, ქათველი მშვიდობიანი მოსახლეობა ტერორისა და თავდასხმების მსხვერპლად იქცა.

გაერო თავის რეზოლუციებში ღრმა შეშფოთებას გამოხატავდა მზარდი ძალადობისა და აფხაზური მხარის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე განხორციელებული ეთნიკური ქათველების მკვლელობებთან დაკავშირებით.

1996 წლის 3 დეკემბერს ლისაბონში ეუთოს სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ გამობენ „ეთნიკურ წმენდას“, რასაც მოჰყვა აფხაზეთში ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურება და ძალადობრივი განდევნა.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ სეცესიის განხორციელება უცხო სახელმწიფოების პირდაპირი ან არაპირდაპირი სამხედრო მხარდაჭერის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს და უნდა ეყრდნობოდეს რეფერენდუმის ან პლემბისციტის შედეგებს, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა გამოთქვამს გამოყოფის სურვილს. როდესაც ერთ-ერთი ასპექტი არ გვაქვს სახეზე, სახელმწიფოს გამოყოფა არალეგიტიმურად განიხილება.

კოსოვოსა და აფხაზეთის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე რეალობაში სეცესიის განხორციელების საფუძვლები უფრო მეტად პოლიტიკური გარემოებებითაა განპირობებული, ვიდრე სამართლებრივი კონცეპტებით. ზემოაღნიშნულის თანახმად, არსებული ისტორიული, პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენების სიღრმისეულად შესწავლამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ თვითგამორკვევის განხორციელების მკაფიო და ერთგვაროვანი პირობები არ არის კოდიფიცირებული, რაც პირდაპირ კავშირშია პრინციპის საერთაშორისოსამართლებრივ დონეზე ბუნდოვან ფორმულირებასთან. მსოფლიოში და განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა სივრცეში სეპარატისტული სუბიექტების დაურეგულირებელი სტატუსი რჩება საერთაშორისო სამართლის აქტუალურ პრობლემად, რაც უდაოდ საჭიროებს არაორაზროვანი სტანდარტის დამკვიდრებას.

მომავალში ერთადერთი შესაძლებელი შედეგი იქნება თვითგამორკვევის პრინციპისა და სეცესიის გამოყენების მკაცრი გარემოებების განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებული იქნება ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებთან და შიდა თვითგამორკვევის შესაძლებლობის შეზღუდვასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული ბუნდოვანი განმარტებები

გამოიწვევს მხოლოდ სეპერატისტული მოძრაობების მოტივაციას ისარგებლონ სეცესიით თვითგამორკვევის პრინციპის სპეკულირებით.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სტატიები:

1. „უმცირესობის“, „ხალხების“ და „მკვიდრი ხალხების“ კონცეპტები საერთაშორისო სამართალში, იურიდიულ-სამეცნიერო ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2019.
2. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვის პრობლემა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, იურიდიულ-სამეცნიერო ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N2, 2022.
3. ერის თვითგამორკვევის პრინციპის ისტორიული განვითარება და გამოწვევები, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, N15(17), 2022
4. The right to self-determination – challenges of modern international law: Case of Kosovo, Unemployment and Inequality in the time of Covid-19, edited by Sinan Alcin, Humberto Merritt, Emilia Alaverdov, M. Mustafa Erdogan, Ijopac publication, London, Istanbul, 2022, 177-192.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. ერის თვითგამორკვევის უფლების სუბიექტები. ბაკალავრიატის, მაგისტრტუისა და დოქტორანტურის სტუდენტთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 20 მაისი, 2017, თბილისი.
2. Universal Declaration of Human Rights under the Principle of Self-Determination and Minorities, International Conference dedicated to the 70th Anniversary of the Universal Declaration of Human Rights: Human Rights, Achievements and Challenges. Caucasus International University, December 14, 2018, Tbilisi.
3. The Formation of Kosovo as an Independent State – Political and Socio-Economic Challenges. International Conference on Political Economy, June 23-25, 2022, Istanbul.



Caucasus International University

Faculty of Law

Ph.D. Program in Law

Maka Julaqidze

The Correlation Between the Right of a Nation to Self-determination and the Principle of
Territorial Integrity in Modern International Law

Abstract Dissertation

Presented for Academic Degree of Ph.D. in Law

Scientific Supervisor: Mariam Jikia

Doctor of Law, Professor

Tbilisi, 0141, Georgia

2025

Scientific Supervisor: Mariam Jikia

Doctor of Law, Professor of the Faculty of Law and International Relations of the Technical University of Georgia

Official reviewers:

Marine Kvachadze – Doctor of Law

Natia Kintsurashvili - Doctor of Law, the Invited Lecturer of the St. Andrews Georgian University Under the Patriarchate of Georgia

Defense of the dissertation shall take place on February 20, 2025, 16:00 PM, at the Dissertation Council of the Faculty of Law of Caucasus International University

Address: Room 305, Building 1 of Caucasus International University, Chargali Str. N73, 0141, Tbilisi, Georgia

Dissertation is accessible at the library of the Caucasus International University

Secretary of the Dissertation Board: Aleksandre Giorgadze, Doctor of Law, Associate Professor

Anotation

The principle of self-determination of a nation is one of the universally recognized principles of international law. In modern international law, its relation to other principles leads to different opinions. The urgency of this issue is due to the fact that in almost every state there are minority groups, part of which struggles in regard to right to self-determination, that sometimes implies secession as well.

The latter contradicts such important principle of international law as the territorial integrity of the state. The increased amount of armed conflicts has revealed that key issues related to this principle pose a major problem in international law.

The main goal of the presented research is to define correctly who should be given the opportunity to exercise right to self-determination fairly, so that the separatists do not violate the principle of territorial integrity and sovereignty by taking advantage of this right.

The goal of the presented research is to determine the correlation between two universally recognized principles of international law- self-determination and territorial integrity, particularly, which of the above mentioned principles are prioritized in practice; To determine the specific circumstances, that have an effect on which of the above mentioned principles take primacy.

To compare, at a scientific and theoretical level, the implemented or unimplemented external self-determination - secession, in the context of the discussion around Kosovo and Abkhazia, on the basis of which a scientific conclusion will be made on the righteousness of the right to self-determination and secession of Kosovo and Abkhazia. It is advisable to scientifically explain and analyze the modern perception of the right to self-determination and subsequent secession in contrast to the classical perception and to determine whether Abkhazia has the right of self-determination and secession from a modern international law point of view.

Based on the purpose of the study, the research objectives are defined as follows:

1. To determine the circumstances, in which, applying the principle of self-determination, the realization of the right to self-determination is legitimate;
2. To identify the factors which give self-determination and secession legal primacy over the principle of territorial integrity;
3. To study the legal and political discourse, which led to Kosovo's secession
4. To study the Abkhazian conflict's historical and legal prerequisites.
5. Based on comparative analysis, the possibility of generalizing the Kosovo precedent, in regards to Abkhazia should be analyzed.

For a comprehensive analysis of research questions, the following research methods are used: historical research method, systematic and logic research method, the comparative-legal method, which has a special significance for the mentioned thesis and legimetric research method. The relevant conclusions are reflected in the study based on the comparative analysis of individual cases.

In classical international law, international legal principles were placed at the same level. Classical approaches to international law change along with the stages of development of society.

The right to self-determination was only used by peoples living under colonial regimes. The question of who has the right to secession based on the principle of self-determination is still controversial in international law. An in-depth study of the issue has revealed that there is no codified, uniform and clear definition of the exercise of self-determination. Separatist entities benefit from the ambiguity of the principle of self-determination at the international legal level, which requires the establishment of an unambiguous standard.

As a result of the analysis of the scientific literature studied in the presented research, the dynamics of historical and political events, and existing international legal norms and practices, scientifically substantiated answers were proposed to determine the set of circumstances in which self-determination and secession are given priority over the principle of territorial integrity.

In the process of studying the possibility of generalizing the Kosovo precedent to Abkhazia, fundamental differences were revealed, both from a historical and legal point of view, as well as in terms of the anatomy of the conflict and its consequences.

As a result of the study of the events that developed during the Abkhazian conflict, the convention on the prevention and punishment of the Crime of Genocide was studied and, using the comparative-legal method, the actions listed in article 2 of the above mentioned convention were compared with the crimes committed against ethnic Georgians in the Abkhazian war. The international community qualified the conflict as ethnic cleansing of Georgians and to this date the genocide of Georgians in Abkhazia has not been recognized, either within the country, at the state level or by the international community. However, new scientific conclusions have been made based on the above mentioned convention, which substantiate the genocide of ethnic Georgians in Abkhazia.

The presented research consistently discusses the important issues that ensure the achievement of the research goal. The first chapter discusses the right to self-determination and the stages of its development, including such important concepts as "peoples", "minorities" and "indigenous peoples".

The second chapter analyzes the issue of the territorial integrity of the state in international law and its definition within the Monroe Doctrine; the threats of encroachment of Territorial Integrity in modern International Law is also discussed in detail.

To reinforce the theoretical part of the research with the practice and to achieve relevant research objectives, the third chapter is entirely devoted to the Kosovo precedent, anatomy of the conflict, involvement of international organizations in the conflict resolution process and its consequences.

The fourth chapter is related to the Abkhazian conflict, in particular the anatomy of the conflict, causes and its consequences. The chapter also discusses in detail the role of the UN and the OSCE in the conflict resolution process. The last paragraph is dedicated to the actions taken by Russia, which recognized Abkhazia as an independent state and the attitude of the international community on this issue.

The final part of the paper presents the results of the research and author's evaluations of the mentioned issues; it also provides author's vision and recommendations for the modern interpretation of universally recognized principles of international law.